# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

## ბრძანება №2-90

**2026 წლის 11 მარტი**

**ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №2-1282 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №2-1282 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2019; სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.023.016614) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დებულების“ მე-4 მუხლი მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ლაბორატორიის დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ლაბორატორიის დირექტორი. მათი უფლებამოსილებანი და კომპეტენციის სფერო განისაზღვრება ლაბორატორიის დირექტორის ბრძანებით.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**სოფლის მეურნეობის მინისტრი** **დავით სონღულაშვილი**